გოჯუ-რიუ ონლაინ

ნოემბერი, 2025

საქართველოს ოკინავური გოჯუ რიუ კარატე დოს ფედერაციის ელექტრონული ჟურნალი



გოჯუ-რიუს აკადემიის გახსნა ლისის ტბაზე

გილოცავთ! მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი და თავდადებული შრომის შემდეგ, 2025 წლის 17 ოქტომბერს, თბილისში, გოჯუ-რიუს აკადემია ოფიციალურად გაიხსნა. ეს წარმატება 2011 წლიდან მოყოლებული ეტაპობრივი განვითარების და დასახული მიზნების შედეგია. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში, წარმატების უფრო მაღალ მწვერვალებს მივაღწევთ!

აკადემიის სახელით საქართველოს შეემატა უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულება. მისი მეშვეობით, ჩვენს სამშობლოს აღეზრდება ძლიერი, გონიერი და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები. ჩვენი უპირველესი მიზანია, რომ შეუცვლელად გადავცეთ თაობებს ტრადიციული გოჯუ-რიუ კარატეს არსი და მისი მეშვეობით მოვახდინოთ ადამიანის ტრანსფორმაცია და განვითარება.

დარბაზი გამოირჩევა იაპონური სტილის არქიტექტურით, სწორად გათვლილი სივრცეებით და ადგილმდებარეობით. ყველაზე ეფექტური მაშინაა რაიმე, როდესაც ის საკუთარ ორიგინალსაა მიმსგავსებული, როგორიცაა ჩვენს შემთხვევაში – გოჯუ-რიუ იაპონიას. აკადემია მოიცავს 5 სავარჯიშო სივრცეს და სრულიად აღჭურვილ გამოსაცვლელ და მოსასვენებელ ოთახებს. ადგილმდებარეობა (ლისის ტბა) კი იძლევა ძალიან კარგ საშუალებას, რომ ვიყოთ ბუნებასთან ახლოს და ხშირად ჩავატაროთ საგარეო ვარჯიშები.

სენსეების სტუმრობა და გახსნითი სემინარი

გოჯუ-რიუს აკადემიის გახსნას ეწვივნენ და ჩაატარეს სემინარითი ვარჯიშები საერთაშორისო ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე დოს ფედერაციის (IOGKF) ინსტრუქტორებმა:

სენსეი ტეცუჯი ნაკამურა, მსოფლიო შეფ-ინსტრუქტორი, მე-8 დანი

სენსეი კაცუია იამაშირო, იაპონიის შეფ-ინსტრუქტორი, მე-8 დანი

სენსეი პერვეზ მისტრი, ინდოეთის შეფ-ინსტრუქტორი, მე-9 დანი

ასევე გახსნას დაესწრნენ: სენსეი მინორუ მურაკამი (ტოკიოს დარბაზის მთავარი სენსეი, მე-5 დანი), სენსეი ტორბენ სვენდსენი (IOGKF დანია, მე-7 დანი), სენსეი ზეენატ მისტრი (IOGKF ინდოეთი, მე-7 დანი) და მრავალი სხვა.

ვარჯიშები ჩატარდა 18 და 19 ოქტომბერს – შაბათს გოჯუ-რიუს აკადემიაში, კვირას კი ახალ სპორტის სასახლეში. სემინარში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა კარატისტმა, მათ შორის უცხო ქვეყნებიდანაც. ეს სემინარი ბიძგი იქნება იმ მრავალი ერთობლივი ვარჯიშების, რომლებიც საქართველოში ჩატარდება.

სენსეების სტუმრობა არ შემოიფარგლა მხოლოდ ვარჯიშით, ასევე გაეცნენ ქართულ კულტურას, კერძებს და ინახულეს მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი.

ტაილანდის შეკრება

2025 წლის **20-28** იანვარს გოჯუ-რიუს აკადემიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ფორმატში ორგანიზებულ ზამთრის შეკრებაში, რომელიც ტაილანდის კუნძულ ფუკეტზე ჩატარდა. ისინი ასევე დაესწრნენ ჩარლზ ოლივეირას სასწავლო სემინარს, რომელიც **UFC**-ის მებრძოლი და ყოფილი ჩემპიონია. სასწავლო პროცესში გაერთიანებული იყო გოჯუ-რიუსა და მუაი ტაის ტექნიკები, რაც თავისი მრავალფეროვნებით და ინტენსიურობით გამოირჩეოდა. საბოლოოდ, ჩვენმა გუნდმა როგორც სპორტული, ასევე კულტურული იმპულსი განიცადა წლის დასაწყისში.

ინდოეთის გაშუკუ

2025 წლის 11-15 აგვისტოს გერმანიაში გაიმართა IOGKF-ის 34-ე ევროპის გაშუკუ, სადაც 23 სხვადასხვა ქვეყნიდან 300-ზე მეტი მონაწილე შეიკრიბა. ღონისძიება მოიცავდა თემებს: ტექნიკა, სტრატეგია, ტაქტიკა, ასევე საერთაშორისო კონტაქტები. ვარჯიშებს ხელმძღვანელობდნენ IOGKF-ის აღმასრულებელი, ტექნიკური კომიტეტების და მრჩეველთა საბჭოს წევრები, მსოფლიო მთავარი ინსტრუქტორის, სენსეი ტეცუჯი ნაკამურას ხელმძღვანელობით. ამ სემინარმა ჩვენი სპორტსმენებისა და ტრენერების პროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ შეაფასა.

საქართველოს ჩემპიონატი

2025 წლის 27 აპრილს საქართველოში გაიმართა ეროვნული ჩემპიონატი გოჯუ-რიუ კარატეში, სადაც მონაწილეობდა 250-მდე მოსწავლე - თბილისიდან, აჭარიდან, გურიიდან და სამეგრელოდან. ეს იყო მოსახერხებელი მომენტი ჩვენი ფედერაციისათვის — გამოვლინდა უახლესი ტალანტები, გაჩნდა ახალი სტიმული და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გოჯუ-რიუს გზა საქართველოში მუდმივად ვითარდება.



ევროპის ჩემპიონატი

2025 წლის **9-11** მაისს საქართველოს ეროვნული ნაკრები გაემგზავრა იტალიის ქალაქ ლეკოში — სადაც გაიმართა ევროპის გოჯუ-რიუს ჩემპიონატი ირიკუმიში (ორთაბრძოლაში). ეს ღონისძიება საერთაშორისო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი იყო, რომელმაც გააერთიანა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები, სადაც ტრადიციული გოჯუ-რიუ კარატეს სული და სპორტული მუხტი სრულად გამოიკვეთა. ჩვენი აკადემიის წევრებმა ღირსეულად წარმოაჩინეს საქართველო მსოფლიო არენაზე — მათმა შედეგმა: **3** ოქრო, **2** ვერცხლი და **4** ბრინჯაო, გამოავლინა მაღალი პროფესიონალიზმი, ტექნიკური სიზუსტე და მებრძოლი სულისკვეთება.

საკვალიფიკაციო გამოცდა

2025 წლის ივნისს, ჩვენს აკადემიაში ჩატარდა საკვალიფიკაციო გამოცდა — რომლის ფარგლებშიც შეფასდა მოსწავლეთა ტექნიკური და დისციპლინური მზადყოფნა. სენსეების მეთვალყურეობის ქვეშ მონაწილეებმა წარმოაჩინეს გამორჩეული ფიზიკური მომზადება, გამძლეობა და სწორი საბრძოლო დამოკიდებულება. თითოეულმა მათგანმა წარმატებით დაამტკიცა საკუთარი ცოდნა და თავდაუზოგავი შრომის შედეგი. ასევე, მიენიჭათ შავი ქამრები (შოდანი) გუნდ ზანშინის ორ წევრს - ალექსანდრე როგავას და ერეკლე ამაღლობელს. გამოცდის შემდეგ, ალექსანდრე როგავა ახსენებს: “კარატე-დო არის გზა, რომელიც მუდმივ განვითარებას მოიცავს და ყოველი ნაბიჯი არის მიმართული საკუთარი თავის განვითარებაზე. ეს გზა სავსეა გამოწვევებით და საკუთარი თავის დამარცხებით, რომელმაც დღეს აქამდე მიმიყვანა. დღევანდელი შედეგი არის უბრალოდ საწყისი და ნამდვილი ზრდა იწყება ახლა.”

ივლისის ღონისძიებები

ივლისში ორი გამორჩეული ღონისძიება შედგა:

2–11 ივლისს საქართველოში — გონიოს საზაფხულო შეკრება

21-27 ივლისს ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში სპორტული შეკრება

ტრადიციად ქცეული საზაფხულო შეკრება გონიოში, ზღვასა და მთებს შორის გამართული უნიკალური ტრენინგ-ბანაკის ფორმატით, წელსაც დიდი წარმატებით ჩატარდა. ათეულობით სპორტსმენმა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიიდან გაატარა ათი დღე ინტენსიურ ვარჯიშებსა და თეორიულ სწავლაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გოჯუ-რიუს ფილოსოფიას — ძალასა და სირბილეს, მტკიცე სულის და თავმდაბლობის ჰარმონიას. საღამოობით მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ერთმანეთთან გაეზიარებინათ გამოცდილება და უფრო მჭიდროდ შეეგრძნოთ გუნდური სული, რაც სწორედ ამ შეკრებას ჰბერავს სულს.

გონიოს შეკრების შემდეგ ჩვენი აკადემიის ნაწილი გაემგზავრა ესპანეთში, ქალაქ ალიკანტეში - „კლიმენტ კლუბში", ძმები თოფურიების მშობლიურ დარბაზში სავარჯიშოდ. მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ქართველ სპორტსმენებს მიეცათ უნიკალური შანსი ემუშავათ მსოფლიო დონის ინსტრუქტორებთან, ვარჯიშების მსვლელობა გამოირჩეოდა მაღალი ინტენსივობითა და სწორი დისციპლინით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი სპორტსმენების მომზადების დონესა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. ისინი ასევე დაესწრნენ სენსეი ლუის ნუნესის (IOGKF ესპანეთის შეფ-ინსტრუქტორი) ვარჯიშს ესპანეთის გოჯუ-რიუს მთავარ დარბაზში. მათ ამ შეკრებაზე მიიღეს როგორც გოჯუ-რიუ კარატის, ასევე MMA-ს ახალი გამოცდილება.

ევროპის გაშუკუ



2025 წლის **11-15** აგვისტოს გერმანიაში გაიმართა **IOGKF**-ის **34**-ე ევროპის გაშუკუ, სადაც **23** სხვადასხვა ქვეყნიდან **300**-ზე მეტი მონაწილე შეიკრიბა. ღონისძიება მოიცავდა თემებს: ტექნიკა, სტრატეგია, ტაქტიკა, ასევე საერთაშორისო კონტაქტები. ვარჯიშებს ხელმძღვანელობდნენ **IOGKF**-ის აღმასრულებელი, ტექნიკური კომიტეტების და მრჩეველთა საბჭოს წევრები, მსოფლიო მთავარი ინსტრუქტორის, სენსეი ტეცუჯი ნაკამურას ხელმძღვანელობით. ამ სემინარმა ჩვენი სპორტსმენებისა და ტრენერების პროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ შეაფასა.

დოჯო ჩელენჯი

ტრადიციად ქცეული დოჯო ჩელენჯი დაბრუნდა და პირველად ჩატარდა აკადემიაში, 9 ნოემბერს. შიდა შეჯიბრის ფარგლებში მოვარჯიშეებმა სულისკვეთება გამოიჩინეს და გადადგეს ახალი ნაბიჯები გოჯუ-რიუს აკადემიაში.

ბავშვების აზრები

ლევან სენსეიმ ბავშვებს პატარა გამოკითხვა ჩაუტარა, მას აინტერესებდა თუ ვის მიმართ იყვნენ ჩვენი მოვარჯიშე ბავშვები მადლიერები, ბევრი საინტერესო პასუხი გაჟღერდა, ჩვენ კი გაგიზიარებთ ამ პასუხებს.

ალექსანდრე მადლობას უხდის თავის ოჯახს და სენსეის, რადგან სენსეიმ მას პატივისცემა და თავდაცვა ასწავლა.

ანდრია მადლობას უხდის დაბრკოლებებს, რომლის მეშვეობითაც შეძლო გაძლიერება

მიშო მადლობელია ყველა იმ ადამიანის ვინც სხვებს აყენებს თავის თავზე წინ.



მომავალი ღონისძიებები

14 დეკემბერი, **2025** - პირველი საკვალიფიკაციო გამოცდა გოჯუ-რიუს აკადემიაში.

2026:

20-28 იანვარს ტაილანდის კუნძულ ფუკეტზე კვლავ გაიმართება ყოველწლიური შეკრება, რომლის მონაწილეები როგორც გოჯუ-რიუს, ასევე მუაი ტაის ივარჯიშებენ და შეიგრძნობენ იაპონური და ტაილანდური საბრძოლო ხელოვნებების სინთეზს.

27-31 ივლისს გაიმართება ევროპის გაშუკუ (სემინარი) ჰოლანდიაში, ქალაქ ვაგენინგენში. "ვაგენინგენი პატარა, მეგობრული ქალაქია", "ჩვენ ვეცდებით შევქმნათ სიკეთითა და სიმშვიდით სავსე ატმოსფერო ჩვენი ვარჯიშებით" - სიდნი ლეიენჰორსტი (მე-**9** დანი), ჰოლანდიის **IOGKF**-ის შეფ-ინსტრუქტორი და სემინარის ორგანიზატორი.

5-8 ნოემბერს გაიმართება აზიის გაშუკუ ავსტრალიაში, ქალაქ გოულბერნში. ამ გაშუკუს ერთ-ერთი ინსტრუქტორი იქნება საქართველოს ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე დოს ფედერაციის პრეზიდენტი, სენსეი ლევან როგავა (მე-**5** დანი).

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:
ალ. როგავა, მ. ღვინჯილია, დ. ჭიჭალუა, ნ. გუჯაბიძე
gojuryugeorgia@gmail.com **www.dojo.ge**